ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5076259

ნომერი: AR1765719

თარიღი : 04.08.2020

გაცემის თარიღი : 24.08.2020

გაცნობის თარიღი : 29.08.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფეიქართა ქუჩა N14გ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნოდარ მუმლაძე პ/ნ 01007007025
- თბილისი კ.სტანისლავსკის ქ. N 12ა ბ. 55

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 28 დეკემბრის №4295236 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 04 აგვისტოს №AR1765719 განცხადებით მომართა ნოდარ მუმლაძემ და მოითხოვა სამსახურის 2018 წლის 28

დეკემბრის №4295236 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 28 დეკემბრის №4295236 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ფეიქართა ქუჩა №14გ-ში შპს „ჯი არ სი“-ს (ს/ნ: 205017578) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.11.19.004.024), საწყობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 28 დეკემბრიდან 2020 წლის 28 დეკემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2018 წლის 28 დეკემბრის №4295236 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა სამშენებლო მოცულობის მითითებასთან დაკავშირებით, კერძოდ მოცულობა 0.00 ნიშნულს ზევით 1525.9 კუბ.მ ნაცვლად უნდა იყოს 18207.9 კუბ.მ, ხოლო მთლიანი სამშენებლო მოცულობა 1853.6 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 18535.6 კუბ.მ.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ სამსახურის 2018 წლის 28 დეკემბრის №4295236 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით სამშენებლო მოცულობა შეადგენს 18535.6 კუბ.მ-ს., ხოლო მოცულობა 0.00 ნიშნულს ზევით - 18207.9 კუბ.მ-ს., თუმცა ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად არასწორად იქნა დაფიქსირებული.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2018 წლის 28 დეკემბრის №4295236 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 28 დეკემბრის №4295236 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში სამშენებლო მოცულობად დაფიქსირდეს 18535.6 კუბ.მ., ხოლო მოცულობა 0.00 ნიშნულს ზევით - 18207.9 კუბ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 28 დეკემბრის №4295236 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 28 დეკემბრის №4295236 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.